

ართურ

ARTHUR C. CLARKE

კლარკი

ბავშვობის დასასრული

CHILDHOOD'S END

ინგლისურიდან თარგმნა გურამ ღონლაძემ



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

ნაწილი პირველი

დედამიწა და ზებატონები.....5

ნაწილი მეორე

ოქროს ნახა..... 83

ნაწილი მესამე

უკანასკნელი თაობა.....181

ნაწილი პირველი

დადგინა და მუშაობა

1

ვულკანი, რომელიც კუნძულ ტარატუაზე წყნარი ოკეანის მხრიდან ამოზრდილიყო, ნახევარი მილიონი წლის განმავლობაში თვლემდა. „ძალიან მალე კუნძულს ცეცხლის ალები გაბანს, – გაიფიქრა რაინჰოლდმა – მშობელ ლავაზე ცხელი“; მან ასაფრენ მოედანს გახედა და თვალი ხარაჩოებს ააყოლა, ჯერ კიდევ რომ შემოხვეოდა „კოლუმბს“. ორასი ფუტის სიმაღლეზე ხომალდის ცხვირი ჩამავალი მზის სხივებს ირეკლავდა. ეს იყო ხომალდის უკანასკნელი ღამე: სულ მალე კოსმოსის მარადიულ შუქში გაფრინდებოდა.

კუნძულის კლდოვან ხერხემაღზე, პალმების ქვეშ სიმშვიდე სუფევდა. „პროექტიდან“ მხოლოდ ჰაერის კომპრესორების იშვიათი ზუზუნი ან მუშების შორეული ძახილის ხმა აღწევდა. რაინჰოლდი პალმებს დიდი ხნის წინ მიეჩვია. ამ ადგილას თითქმის ყოველ საღამოს ამოდოდა, რომ თავისი იმპერიის ცქერით დამტკბარიყო. გული სწყდებოდა, რომ „კოლუმბის“ ასაფრენად გახლეჩილი ატომები ყველა პალმას სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს.

რიფებიდან ერთი მილის მოშორებით კრეისერი „ჯეიმს ფორესტალი“ პროექტორების წყალობით ბნელ წყალს მიაპობდა. მზე ჩაიმალა. ტროპიკული ღამე აღმოსავლეთიდან სწრაფად შემოიპარა. რაინჰოლდს გაელიმა, ნუთუ კრეისერს მართლა სჯეროდა, რომ რუსულ წყალქვეშა ნავებს ხმელეთთან ასე ახლოს აღმოაჩენდა.

როგორც ყოველთვის, რუსეთის გახსენებაზე, კონრადი და 1945 წლის კატასტროფული გაზაფხული მოაგონდა. თითქმის ოცდაათი წელი გავიდა, მაგრამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძალების ქვეშ რაიხის დაცემის ის სასიამოვნო შეგრძნება არ გაუნელდა. ახლაც კარგად ახსოვდა კონრადის დაღლილი ცისფერი თვალები, ნიკაპზე შერჩენილი ოქროსფერი ღინღლი, დანგრეულ პრუსიულ სოფელში დამშვიდობების წინ ხელის ჩამორთმევა და დევნილების უწყვეტი ნაკადი. ეს იყო გამოთხოვება, რომელმაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მომავალი გადაწყვიტა. კონრადმა რუსეთში გამგზავრება არჩია. რაინჰოლდმა მისი გადაწყვეტილება არ მოინონა, თუმცა წლების მერე აზრი შეიცვალა.

ოცდაათი წლის განმავლობაში კონრადი დაღუპული ეგონა. ერთი კვირის წინ კი დაზვერვის სამსახურის პოლკოვნიკმა სენდმეიერმა სულ სხვა ინფორმაცია გაანდო. რაინჰოლდს სენდმეიერი გულზე დიდად არ ეხატებოდა და ხვდებოდა, რომ არც პოლკოვნიკი იყო მისდამი თბილად განწყობილი. თუმცა ეს თანამშრომლობაში ხელს არ უშლიდათ.

– მისტერ ჰოფმან, – ჩვეული ოფიციალური კილოთი ნამოინყო პოლკოვნიკმა, – ვაშინგტონიდან საგანგაშო ინფორმაცია მივიღეთ. მართალია, სრულიად გასაიდუმლოებული მასალაა, მაგრამ გადავწყვიტეთ ინჟინრებს გავუმხილოთ, რომ აჩქარდნენ.

პოლკოვნიკი შეყოვნდა, რომ რაინჰოლდზე შთაბეჭდილება მოეხდინა, თუმცა მასზე ამგვარი ქცევები არ ჭრიდა. უკვე ძალიან კარგად იცოდა, რის თქმასაც აპირებდა სენდმეიერი.

– რუსები აღარ ჩამოგვრჩებიან. ატომური ძრავა გამოიგონეს, რომელიც შეიძლება ჩვენსაზე ძლიერია. ბაიკალის ტბის ნაპირზე ხომალდს აშენებენ. ზუსტად არ ვიცით, რა ეტაპზე

არიან, მაგრამ დაზვერვის სამსახური დარწმუნებულია, რომ გაფრენას წელს აპირებენ. ხომ ხვდებით, ეს რას ნიშნავს.

„კი, – გაიფიქრა რაინჰოლდმა, – კარგად მესმის. რბოლაში ვმარცხდებით“.

– ხომ არ იცით, გუნდს ვინ ხელმძღვანელობს? – სხვათა შორის იკითხა მან. არ ეგონა, პასუხს თუ მიიღებდა. უეცრად, პოლკოვნიკმა სანდერსმა მაგიდაზე ფურცელი გაუწოდა, რომლის თავზეც ბეჭდური ასოებით გამოეყვანათ: კონრად შნაიდერი.

– ამ ხალხს პინემონდეში იცნობდით, ასე არ არის? – იკითხა პოლკოვნიკმა, – იქნებ მათი მეთოდები გაიხსენოთ. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია დაგვჭირდება. მათი სპეციალობები, „დიადი იდეები“ და ასე შემდეგ. ვიცი, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ იქნებ გაიხსენოთ.

– ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება კონრად შნაიდერი, – უპასუხა რაინჰოლდმა, – საოცარი ვინმე იყო. დანარჩენები მხოლოდ ჭკვიანი ინჟინრები არიან. ღმერთმა უწყის, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში რა ჩაიდინა. გახსოვდეთ, შეიძლება ჩვენი შედეგები ჰქონდეს ნანახი, ჩვენ კი სამწუხაროდ, მასზე არაფერი ვიცით და ეს გარემოება უპირატესობას აძლევს.

დაზვერვის სამსახურის კრიტიკა არც უფიქრია, მაგრამ სენდმეიერმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც ეწყინა. შემდეგ პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა.

– ინფორმაციის თავისუფალი გაზიარება საქმის დაჩქარებაში გვინდობს ხელს. კი, რამდენიმე საიდუმლოს ავხადეთ ფარდა, მაგრამ ასე აჯობებს... თქვენც ამას არ ამტკიცებდით? რუსულმა კვლევის დეპარტამენტმა თავისიანების გეგმის ნახევარიც კი არ იცის. ერთად ვაჩვენოთ, რომ მთვარეზე დემოკრატია უფრო მალე გაფრინდება.

„დემოკრატია! რა სისულელეა!“ – გაიფიქრა რაინჰოლდმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ერთი კონრად შნაიდერის სახელი მილიონი ამომრჩევლის ხმას გადაწონდა. ვინ იცის, საბჭოთა კავშირის დახმარებით რას მიაღწია?! მისი ხომალდი შეიძლება დედამიწას სწორედ ამ წამებში სცდებოდა...

მზე, რომელმაც კუნძული ტარატუა საბოლოოდ მიატოვა, ბაიკალის ტბას ჯერ კიდევ ზემოდან დაჰყურებდა, როცა კონრად შნაიდერი და ბირთვული მეცნიერების კომისრის ასისტენტი ნელი ნაბიჯით გამოვიდნენ მოტორის სატესტო ბაგირებიდან. მიუხედავად იმისა, რომ გუგუნის უკანასკნელი ექო ტბის ზედაპირიდან ათი წუთის წინ მიიკარგა, ყურები სასტიკად სტკიოდათ.

– სახე რატომ ჩამოგტირის? – უეცრად იკითხა გრიგორიევიჩმა, – უნდა გიხაროდეს. ერთ თვეში გავფრინდებით. იანკები ბოლმით გასკდებიან.

– ძველებურად ოპტიმისტი ხარ, – მიუგო შნაიდერმა, – მოტორის სწორი მუშაობა ყველაფერს არ ნიშნავს. მართალია, შეფერხებებს ვერ ვხედავ, მაგრამ ტარატუადან შემოსული ცნობები მაშფოთებს. ხომ გითხარი, ჰოფმანი ნამდვილი გენიოსია... მის საქმეს მილიარდობით დოლარს ახარჯავენ. ფოტოებზე მისი ხომალდი გარკვევით არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ დასრულების ფაზაშია. ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ მათი მოტორი ხუთი კვირის წინ გამოსცადეს.

– ნუ ღელავ, – გაეცინა გრიგორიევიჩს, – დიდი სიურპრიზი ელოდებათ! არ დაგავინწყდეს, ჩვენზე არაფერი იციან.

შნაიდერმა გაიფიქრა, ნეტავ მართლა თუ ასეაო, მაგრამ აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავა. გრიგორიევიჩს გონება გაუნათებოდა და გაჟონილი ინფორმაციის ქექვას დაიწყებდა. ვერც თვითონ მოისვენებდა...

ადმინისტრაციის შენობაში შესვლისას მცველები სა-

მხედრო საღმით შეეგებნენ. „ტექნიკოსებზე მეტი ჯარისკაცია“, პირქუშად გაიფიქრა შნაიდერმა. თუმცა რუსები ასე მოქმედებდნენ და კარგი იქნებოდა, თუ ფეხებში ზედმეტად არ გაებლანდებოდნენ, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დაგეგმა. მხოლოდ დრო გადანყვეტდა, რომელმა გააკეთა სწორი არჩევანი: მან თუ რაინჰოლდმა.

შნაიდერი უკანასკნელ მოხსენებაზე მუშაობდა, როცა გარედან შემომავალმა ყვირილის ხმამ გამოაფხიზლა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მაგიდასთან გაუნძრევლად იჯდა და ცდილობდა მიმხვდარიყო, რამ დაარღვია ბანაკის მტკიცე დისციპლინა. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და ცხოვრებაში პირველად სასონარკვეთა დაეუფლა.

* * *

რაინჰოლდი პატარა გორაკზე დაეშვა. ცაზე მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ზღვაში „ფორესტალი“ განათებულ თითებს აცეცებდა, „კოლუმბზე“ შემოხვეული ხარაჩოები ნაძვის ხეს დამგვანებოდა. განათებული ხომალდის ბნელი ცხვირი ვარსკვლავების ფონზე პირქუშ აჩრდილად აზიდულიყო.

დასახლებული ნაწილიდან რადიოში ჩართული საცეკვაო მუსიკის ხმაზე რაინჰოლდმა შეუფენებლად აუჩქარა ნაბიჯს.

ქვიშის სანაპიროსთან ვიწრო ბილიკზე ჩასულს უცნაური წინათგრძნობა დაეუფლა, შემდეგ მოძრაობასაც მოჰკრა თვალი და შედგა. დაბნეულმა ხმელეთის მხრიდან წყლისკენ გააპარა თვალი, ბოლოს კი ცას ახედა.

სწორედ ამ მომენტში რაინჰოლდ ჰოფმანმა, კონრად შნაიდერის მსგავსად, აღმოაჩინა, რომ რბოლაში დამარცხდა. დამარცხდა არა რამდენიმე კვირით, ან თვით, როგორც ეშინოდა, არამედ მთელი ათასწლეულით. უზარმაზარი, მდუმარე ჩრდილები ვარსკვლავებს შორის ისეთ სიმალღებზე ლივლივებდნენ,

რომლის წარმოდგენაც რაინჰოლდის გონებას არ შეეძლო. ამ აჩრდილებთან შედარებით „კოლუმბი“ ისეთივე პანანინა იყო, როგორც მისი ხომალდი პალეოლითისდროინდელი ნაგებობის წინაშე. დაუსრულებელი ნამების განმავლობაში რაინჰოლდი იმას ხედავდა, რასაც დედამიწის ყველა მცხოვრები: როგორ მედიდურად და პირქუშად ეშვებოდნენ დიდებული ხომალდები მათ პლანეტაზე, სანამ მის ყურს მოგუდული კივილის მსგავსი ხმა არ მისწვდა, რომლითაც სტუმრებმა სტრატოსფეროს თხელი ფენა გაარღვიეს.

ცხოვრებისეული მიზნის ჩაფლავება არ ედარებოდა. მთელი ცხოვრება ადამიანების კოსმოსში გაფრენას მიუძღვნა, მაგრამ დღეს თავად ვარსკვლავები, ეს გულგრილი, ინდიფერენტული მნათობები ეწვივნენ მას. ეს გახლდათ წამი, როცა ისტორიას სუნთქვა შეეკრა, ანმყო კი წარსულს ისე მოსწყდა, როგორც აისბერგი წყდება გაყინულ, მშობლიურ კლდეს და ზღვაში ამაყად შეცურავს. ყველაფერმა, რასაც ადამიანთა მოდგმამ გასულ საუკუნეებში მიაღწია, აზრი დაკარგა. რაინჰოლდს ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა: კაცობრიობა მარტო არ არის!

2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოზრდილ ფანჯარასთან გაუნძრევლად იდგა და 43-ე ქუჩაზე შექმნილ საცობს დასცქეროდა. ხშირად უფიქრია, ნეტავ რამდენად ნორმალურია, რომ ვილაც ადამიანებისგან მოშორებით, ასეთ სიმაღლეზე ვმუშაობო. განმარტოებაში ცუდს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გრძნობა გაუცხოებაში გადასდიოდა. იქნებ ნიუ-იორკში ოცნლიანი ცხოვრების შემდეგაც ვერ მოიშორა ცათამბჯენების მიმართ დაუოკებელი ზიზლი?

კარის გაღების ხმა გაიგო, მაგრამ არ შებრუნებულა. ოთახში პიტერ ვან რიბერგი შევიდა. ერთხანს ჩუმად იყვნენ. პიტერმა თერმოსტატი გულგრილად შეათვალიერა; ცნობილი ხუმრობის თანახმად, გენერალურ მდივანს საყინულეში ცხოვრება სიამოვნებდა. სტორმგრენმა დაუცადა, სანამ მისი ასისტენტი ფანჯარასთან მივიდოდა და მხოლოდ მაშინ მოსწყვიტა თვალი ქუჩის წარმტაც პეიზაჟს.

– აგვიანებენ, – თქვა მან, – ვეინრაიტი ხუთი წუთის წინ უნდა მოსულიყო.

– პოლიცია მხოლოდ ახლა დაგვიკავშირდა. მარტო არ არის და საცობში მოხვდა. წუთი წუთზე ველოდებით, – ვან რიბერგი შეჩერდა. შემდეგ უხეშად დაამატა, – დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მისი ნახვა სწორი გადანყვეტილებაა?

– ვშიშობ, უარის თქმა გვიანია. უკვე შევთანხმდით. თუმცა შეხვედრის სურვილი მე არ გამომითქვამს.

სტორმგრენი მაგიდასთან გადასულიყო და ხელში თავის ცნობილ ურანის პრესპაპიეს ათამაშებდა. აღელვებული არ ჩანდა, უბრალოდ გადანყვეტილება ვერ მიელო. უხაროდა კიდევ, რომ ვეინრაიტი აგვიანებდა. ინტერვიუს წინ მორალურ უპირატესობას იგრძნობდა. ასეთ უმნიშვნელო დეტალებს იმაზე დიდი ადგილი უჭირავს ადამიანურ ურთიერთობებში, ვიდრე ლოგიკას აყოლილ უსაქმურებს ურჩევნიათ.

– აი, ისინიც! – უეცრად წამოიძახა ვან რიბერგმა და სახით ფანჯრის მინას მიეკრა, – ზედა ქუჩიდან მოდიან... სამი ათასი იქნება.

სტორმგრენმა ხელი ბლოკნოტს დასტაცა და ასისტენტს შეუერთდა. ნახევარი მილის მოშორებით ხალხის პატარა ჯგუფი თავდაჯერებით მოემართებოდა სამდივნოს შენობისკენ. ხელში ბანერები ეჭირათ, რომელთა წარწერების წაკითხვა ამისიშორიდან შეუძლებელი იყო, მაგრამ სტორმგრენს კარგად მოეხსენებოდა მათი სურვილების შესახებ. საცობის ხმას ხალხის შორეული გუგუნი შეუერთდა. გენერალურმა მდივანმა უეცარი ზიზლი იგრძნო. სამყარო სავსეა აღშფოთებული ყაჩაღებითა და განრისხებული ბანერებით!

ხალხის ჯგუფი შენობას მოადგა. ალბათ იცოდნენ, რომ სტორმგრენი თვალს არ აცილებდათ, რადგან სრულიად დარწმუნებულები მუშტებს კრავდნენ და ჰაერში იქნევდნენ. თუმცა, აშკარა იყო, მისი შეურაცხყოფა არ უნდოდათ. უბრალოდ, სურდათ მაღალ სართულებამდე თავიანთი სიტყვა მიეწვდინათ. როგორც ქონდრისკაცის მუქარა გოლიათის მიმართ, ხალხის მუშტები მათ თავზე ორმოცდაათი კილომეტრის სიმაღლეზე გამოკიდებული ვერცხლისფერი ღრუბლის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც სინამდვილეში ზე-ბატონების მთავარი ხომალდი გახლდათ.

სტორმგრენის აზრით, კარელენი ამ ყველაფერს ზემოდან

აკვირდებოდა და ელიმებოდა კიდევ. ეს ყველაფერი ზედა-მხედველის ნაქეზების გარეშე არ მოხდებოდა.

დღეს სტორმგრენი „თავისუფლების ლიგის“ მეთაურს პირველად ხვდება. შეხვედრის ავკარგიანობაზე ფიქრს თავი გაანება, რადგან კარელენის გეგმები ადამიანური გონებისთვის ხშირად გაუგებარი რჩებოდა. სტორმგრენს შეხვედრის არ ეშინოდა. პირიქით. ვეინრაიტს რომ არ შეხვედროდა, „ლიგა“ ამ ფაქტს მის სანიანალმდეგოდ გამოიყენებდა.

ალექსანდერ ვეინრაიტი გახლდათ მაღალი, სიმპათიური, რომოცი წლის მამაკაცი. სტორმგრენის ცოდნით, ვეინრაიტი უაღრესად გულწრფელი ადამიანი იყო, რაც მის საუკეთესო იარაღს წარმოადგენდა. თუმცა, სწორედ ამ თვისების გამო იყო რთული მისი მოძულება, მიუხედავად იმისა, რომ სტორმგრენი კაცის იმ მოსაზრებებს არ ეთანხმებოდა, ქვეყანაში სახელი რომ მოუხვეჭა.

სტორმგრენმა ვან რიბერგის მოკლე და თავშეკავებული წინასიტყვაობის შემდეგ დრო არ დაკარგა და მაშინვე საქმეზე გადავიდა:

– როგორც ვხვდები, – ნამოიწყო მან, – თქვენი სტუმრობის მთავარი მიზანია, გააპროტესტოთ „საერთაშორისო ფედერაციის“ ჩამოყალიბება. ხომ არ მეშლება?

ვეინრაიტმა თავი მძიმედ დაუქნია.

– დიახ, სწორედ ამიტომ გეახელით, ბატონო მდივანო. მოგეხსენებათ, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ვცდილობთ, ხალხის გამოფხიზლებასა და იმ საშიშროებებზე თვალის ახელას, რომელიც კაცობრიობას ელოდება. საკმაოდ რთული საქმე გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის უმრავლესობა ზებატონების მმართველობის წინააღმდეგი არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენს პეტიციას სხვადასხვა ქვეყნის ხუთ მილიონზე მეტმა პატრიოტმა მოაწერა ხელი.

– საკმაოდ პატარა რიცხვია, თუ პლანეტის ორ მილიარდზე მეტ მოსახლეს გავითვალისწინებთ.

– ჰო, მაგრამ ვერც ამდენ ადამიანზე დახუჭავთ თვალს. ხელმომწერთა უმრავლესობას საერთაშორისო სიბრძნეში ეჭვი ეპარება... „საერთაშორისო ფედერაციის“ ჩამოყალიბებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თავად ზედამხედველ კარელენსაც კი, მიუხედავად მისი ძალებისა, არ შეუძლია მრავალათასწლოვანი ისტორიის ერთი კალმის მოსმით გადაშლა.

– კარელენის ძალების შესახებ რა იცით? – გაანყვეტინა სტორმგრენმა, – ბავშვობაში „ევროპის ფედერაციაზე“ ოცნებაც კი წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, თუმცა წლებმა გვიჩვენა, რომ ამგვარი გაერთიანება შედგა. იმის შესხენებაც კი ზედმეტია, რომ ეს ზებატონების ჩამოსვლამდე მოხდა. კარელენი იმ საქმეს ემსახურება, რომელსაც საფუძველი უამრავი წლის წინ კაცობრიობამ ჩაუყარა.

– ევროპა კულტურულ-გეოგრაფიული ორგანიზმია; სამყარო კი – არა. აი, რაშია განსხვავება.

– ზებატონებისთვის, – სარკასტულად უპასუხა სტორმგრენმა, – დედამინა ალბათ იმაზე პატარაა, ვიდრე ჩვენი წინაპრებისთვის ევროპა. მათი მსოფლმხედველობა კი, მომიტევეთ და, ჩვენსაზე ბევრად წინ არის წასული.

– მე არ გეკამათებთ. „საერთაშორისო ფედერაცია“ როგორც მომავალი, ცუდად არ მესახება. ვიცი, რომ ბევრი ჩემიანი არ მეთანხმება, მაგრამ ასეა. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი შიგნით უნდა ჩაისახოს და არა გარედან. ჩვენი ბედი თავად უნდა გადავწყვიტოთ. კაცობრიობის საქმეში არავინ არ უნდა ყოფდეს ცხვირს!

სტორმგრენმა ამოიოხრა. მსგავსი განცხადებები უკვე ასჯერ მაინც ჰქონდა მოსმენილი და მზად იყო უწინდებური პასუხი გაეცა, რომელსაც „თავისუფლების ლიგა“ არ ეთან-

ხმებოდა. მას კარელენის სწამდა, მათ კი – არა. ეს გახლდათ ფუნდამენტური განსხვავება, რომელსაც სტორმგრენი ვერასდროს შეცვლიდა. საბედნიეროდ, „თავისუფლების ლიგას“ ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული.

– რამდენიმე კითხვას დაგისვამთ, – თქვა მან, – ნუთუ უარყოფთ, რომ ზეციურმა ბატონებმა დედამინაზე არნახული უსაფრთხოება, მშვიდობა და წარმატება მოგვიტანეს?

– მართალი ბრძანდებით. მაგრამ თავისუფლება ნაგვართვეს. ადამიანი მარტო...

– სავსე მუცლით ვერ იცხოვრებს. დიახ, მსმენია... თუმცა, ეს მხოლოდ სანყისი ეტაპია. მითხარით, რომელი თავისუფლება დაგკარგეთ? პირიქით, ზეციურმა ბატონებმა აქამდე არნახული თავისუფლება გვარგუნეს.

– თავისუფლება, რომ საკუთარი ცხოვრება უფლის სახელით ვმართოთ.

„როგორც იქნა, მთავარზე გადავედით, – გაიფიქრა სტორმგრენმა, – როგორც არ უნდა დამალონ, საქმე რელიგიურ კონფლიქტთან გვაქვს“. ვეინრაიტი ყოფილი მღვდელი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ თეთრ საყელოს დიდი ხანია აღარ ატარებდა, მაინც ეკლესიური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

– გასულ თვეში, – აღნიშნა სტორმგრენმა, – ასობით ეპისკოპოსმა, კარდინალმა და რაბინმა მოაწერა ხელი დეკლარაციას, რომლითაც ზედამხედველის პოლიტიკა გაიზიარა. სამყაროს რელიგიები თქვენ წინააღმდეგ არიან განწყობილნი.

გაბრაზებულმა ვეინრაიტმა თავი გაიქნია.

– ლიდერების უმრავლესობა დაბრმავებულია: ზეციურმა ბატონებმა მოქრთამეს. როდესაც საფრთხის წინაშე დადგებიან, გვიანი იქნება! კაცობრიობა დაკარგავს კანონებს და მათ ქვეშევრდომად იქცევა.